



ტარტაროზის კალენდარი

არსებობს რუსული ზუმორისტული ჟურნალი „ჩუდაკ“, რომელსაც ჩვენ ამჟამად მივბაძავთ ჩვენს ჟურნალშიც ზევით აღნიშნულ განყოფილების შემოღებაში.

ყოველი მიბაძვა კარგი საქმეა, თუ ის გონივრულად იქნება ჩატარებული.

მაგრამ მდგომარეობას სცვლის, ასე ვსთქვათ, მთავარი მიზეზი.

მიზეზი კი „ჩუდაკ“-ია.

სიტყვა: „ჩუდაკ“—ქართულად დაახლოვებულად „ხუმარა“-ს უდრის.

ჩვენი ჟურნალი კი „ტარტაროზია“.

შეიძლება, ვსარგებლობთ რა ამ განსხვავებით, წინ წინ ბოდის ვიხდით მკითხველის წინაშე, თუ ჩამოვრჩეთ მოსკოველ თანამოკალმებს.

მაშ, ვიწყებთ!

ჩვენი ახალი ერა 23 აპრილია. ეს ერთი კვირა, ასე ვსთქვათ, გარდამავალი პერიოდია პირველ მაისისაკენ.

ნამდვილი ერა კი პირველი მაისიდან იწყება.

აპრილი
23
სამუშაბათი

— 1920 წ. ანგორაში გაიხსნა დიდი ეროვნული კრების სხდომები.

— აღნიშნულ დრომდე ასეთი კრება ისევე უჩვეულო იყო ოსმალეთისათვის, როგორც საზოგადოთ თავისუფლება. სულთანის ჩინოვნიკები ერთად ერთი „კრებისათვის“, ეგარედ წოდებულ — სულთანის ჰარამხანისათვის—ილწვოდენ, თუმცა მაინცდამაინც ვერც ამ ინტიმიურ კრებას იცნობდენ კარგათ, გარდა ერთადერთი საამისოდ მიჩენილ ჩინოვნიკისა—ევნუხისა, რომელიც ადამიანისათვის ერთი ფრიად დამამცირებელი მიზეზის გამო, აღარც ამ „საპატიო კრებისათვის“ იყო რადმე გამოსადეგი, გარდა ჯამუშობისა, ენატანიობის ქსელის აბლაბუდასავით იქით-აქეთ. ვაზმა-გამომბისა და სულთანის ფენის სასუფთავებელ ჩერად ყოფნისა.

აპრილი
26
პარასკევი

1925 წ. ჰინდერბურგის არჩევა გერმანიის პრეზიდენტად.

ეს გახლდათ პირველი საფეხური გერმანელ იუნკერთა და მსხვილ მრეწველთა ზრახვების ასრულებისაკენ, გერმანიის ტახტზე ისევ ვილჰელმის მიხედვით. რომელიმე შემკვიდრის აღდგენისაკენ, რამაც მათ დიდად უწყობდენ და უწყობენ ხელს ადგილობრივი მენშევიკები. ეს სამი ღირსიული მოკავშირე ამ თავიანთ „საპატიო“ საწადელს მალე მიალწვედენ, რომ მათ ამაში „წყუელი“ კომუნისტები არ უშლიდნენ ხელს.

აპრილი
24
ოთხშაბათი

— 1905 წ. ხელზე მოსამსახურეთა გაფიცვა ტფილისში.

— მაშინ გაფიცვა ორი - ერთ კაპეიკად იყო. მეეტლეებიც კი იფიცებოდნენ. გაფიცვა არის საქმისაგან თავის ნებით მოხსნა და სამუშაო საათების გატყუება. ამას მაშინ სოციალისტებიც კი ურჩევდენ მუშებს. დღეს გაფიცვას ჩვენში უკვე ადგილი და აზრი აღარ აქვს და სამუშაო საათების გატყუებას არა თუ არ აქეზებენ, ებრძვიან კიდევ.

აპრილი
27
შაბათი

1920 წ. საბჭოთა ჯარების მიერ ბაქოს დაჭერა.

ბაქო აღნიშნულ წლამდის ბევრ სხვადასხვა ჯარს ეჭირა: ბირეაზოვის, ინგლისის და სხვ. ასე გასინჯეთ, ოსმალთა ჯარიც კი აპირებდა ერთ დროს იმის დაჭერას. მათ, ყველას ნავთის სუნი მოსვენებას არ აძლევდა. მაგრამ დაჭერაც არის და დაჭერაც. აღნიშნული ჯარები თუ ამ ქალას იჭერდნენ, მხოლოდ გასაცარცვავ-დასარბევ - დასაქცევად. საბჭოთა ჯარებმა კი ის დაიჭირეს, როგორც უაღრესად პროლეტარული ქალაქი, შიგ პროლეტარული რევოლუციის მოსახლენაით და სოციალისტური მშენებლობის გასაჩივრებლად, რაც დღეს ისეთის წარმატებით მიმდინარეობს, რომ იქიდან საბჭოთა ნავთის სუნი ევროპაშიც კი უფროსობს მოსვენებას ჩვენს მტრებს.

აპრილი
25
ხუთშაბათი

1906 წ. შეიარაღებული თავდასხმა დუმეთის ხაზინაზე.

თვითმპყრობელობის ხაზინაზე მაშინ თავდასხმა მოახდინა ერთ-ერთმა სოციალისტურმა პარტიამ, იქიდან სოციალისტურ საქმისათვის ფულების გატაცების მიზნით.

დღეს კი სოციალისტები (კომუნისტები) მუშურ გლეხურ ხაზინა-სალაროებიდან ფულს არა თუ იტაცებენ, ყველა მტაცებელ - მფლანგველებს სასტიკად ებრძვიან და ყველა საშუალებებით ფულებს ხაზინა-შრომის სალაროებისაკენ ეზიდებიან, რათა სოციალისტურ აღმშენებლობას მტკიცე მატერიალური ბაზა შეუქმნან.

აპრილი
28
კვირა


1920 წ. აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

საბჭოთა ხელისუფლება აქ ადრეც დამყარდა ბაქოში 1918 წელს, მაგრამ ინგლისელმა მოძალადეებმა ადგილობრივ თეთრგვარდიელთა და ჯამუშ-გამცემელთა დახმარებით, ეს ხელისუფლება დაარბიეს, ხოლო საბჭოთა მთავრობა, 26 კომისართა სახით, გაიყვანეს კასპის ზღვის გაღმა, უდაბურს მხარეში და ვერაფრულად დახვრიტეს.

ქანავის კლუზი

დეკემბერი

საქართველოს კომუნისტური პარტია



ჟენევა. ვინაიდან ერთა ლიგის დეკლარაციებს ლიტვინოვის ყოველი გამოხატვა მოსვლა კოფის ნაცარში უგდებს და ჭამის მადას უკარგავს, ამიტომ დელეგატები სხდომის გახსნამდე ჭამენ.

იმიდის გამართლება

ლონდონი. ბოლდუინმა ასეთი შინაარსის დეკლარაცია მიიღო ჟენევიდან კემპბელისაგან (ინგლისის დელეგატი ერთა ლიგის განიარაღების სესიაზე): „სესია ამართლებს ჩვენს იმიდეს. გუშინ უარყავით საბჭოთა წინადადება ნამდვილი განიარაღების შესახებ... განაგრძეთ კრიტიკებისა და ტანკების დაკვეთები“.

მაკდონალდს არ სცალია

ლონდონი. ერთ კვირაზე მეტია, რაც მაკდონალდი ვარდ არ გამოსულა და არავის ღებულობს. ამბობენ — „ღმერთს ეგვიდრება, რომ მომავალ არჩევნებში გამარჯვება ახვედროს“.

გველი გველის უარესი

რომი. გუშინ ფლორენციაში მუსოლინი შეხვდა „სტუმრად“ ჩამოსულ ჩემბერლენს.

„ახალი კართაგენი“

ბერლინი. განზრახულია ერთა ლიგის რევიდენციას—ჟენევას ეწოდოს „ახალი კართაგენი. (თქმულება: კართაგენიდან არაფერს კარგს მოველით“).

70.000 ტონა სიცრუე

ჟენევა. დღემდე ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და პოლონეთის დელეგატებს ერთა ლიგის განიარაღების სესიაზე ნალაპარაკები აქვთ 70.000 ტონა სიცრუე.

ლო უდენი (თავისთვის): — არ ვიცი როგორ არის ჩემი საქმე! ხელში სულ „კოროლები“ მყავს, მაგრამ ეს ვიღაცა (ლიტვინოვი) ყოველ ჩემს „სვლას“ სულ „ტუზით“ მიკლავს!

ამჟამად კი ასევე დახვრეტილია მტრების ყველა იმედები და ზრახვები, რომლებიც დღეს გახვრეტილ გროსადაც კი აღარსად აღარ ფასობს. ხოლო საბჭოთა ხელისუფლება თავის ამპლორძინებელ მუშაობას უდიდესი წარმატებით ეწევა.

1887 წ. დაიწყო მეფის, ალექსანდრე მე-3-ის მოკვლის განზრახვისათვის პასუხისმგებლობაში მიცემულთა გასამართლება. ბრალდებულთა შორის იყო ვლად. ლენინის ძმა, ალ. ულიანოვი.

მეფე ალექსანდრე მე-3-ის თვითმკვრობელურმა მთავრობამ გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა ხალხის მეგობარი, ლენინის ძმა, ლენინის მთავრობამ კი, საბჭოთა მთავრობამ, თავისუფალი მშრომელი ხალხის მთავრობამ ალექსანდრე მე-3-ის ძე, ნიკოლოზ მე-2-ე გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა 1918 წელს. ასე შეიცვალა ყოფნის სასწორი რალაც ოცდაათიოდე წლის განმავლობაში.

1924 წელს გამოიცა დეკრეტი ერთიან სამეურნეო გადასახადის შემოღების შესახებ.

ერთიანი გადასახადი გულისხმობს, სხვათაშორის ერთ პრინციპს: ვისაც მეტი აქვს შემოსავალი, მას მეტიც უნდა გადახდეს. კულაკი უნდა ზორბათ დაიბეგროს, საშუალო გლეხი მსუბუქად, ლარიბი—სულაც არა, ხოლო უკიდურეს ლატაკს კიდევ იქით უნდა მიეცეს დახმარება.

უწინ კი ასე არ იყო. გადასახადისა და განცხრომის კიბე სწორედ საწინააღმდეგო მიმართულებით იყო შეყენებული: უკიდურესი ლატაკი მიწაზე იყო განრთხმული გადასახადის სიმძიმის ქვეშ; იქვე, მის გვერდით მუხლებზე წამოჩოქილი ლარიბი ამინავდო; საშუალო შეძლების გლეხი წელში ითხად იყო მოკეცილი; ამათ ზურგზე კი არხინად ისხდნენ: სოფლის კულაკები, ქალაქის მდიდრები, ბობოლა ჩინოვნიკები მღვდლები, ბერები თუ სხვადასხვა ჯურის არამზადები, რომელთა გვირგვინსაც ამშვენებდა მათთვის მეტად მსუბუქი, ხოლო ლარიბებისათვის კი აუტანელად მძიმე, ჯაღათი-მეფის ტანტი.

აკრილი
29
ორშაბათი

აკრილი
30
სამშაბათი



ლიბიურ სასაღილოში

გუშუაპალის სეზონი



— მოსადილე: — თუ ეს სადილი საჩქაროდ არ შევსჭამე, ესენი შვითონ მე შემჭამენ!

მე ის პირველად ვნახე კრებაზე, წარმომდგარიყო როგორც ანტენა, ლაპარაკობდა გემო-კვებაზე და ცეცხლის სიტყვის კოცონს ანთებდა! ირგვლივ ეხვია ხალხთა კრებული მე კი, შორიდან შევცვიცავებდი და 100 პროც. შეუვარებული მეც სიუვარულის ქსელში ვაგები.

რევოლუციით დამწვარ, თვალგამი ირგვლივ შვანთავდა ანთებულ ისრებს; ამხანაგებო, არ გებრალეებით, რომ სამარცხვინოდ დღეს გრძნობა მის-წრებს!

მასხვებს, კრებაზე თმებს ივარცხნიდა და თან მწვერავდა აღელვებული, აი, თუ გნებავთ საფრთხე მარცხნიდან 100 პროც. შეუვარებული!

„ბიოლოგია“ ისე მიტაცებს, რომ სწავლისათვის დრო არა მქონდა, ვეღარ ვიხსომებ მარქსის ციტატებს — ვერ ჩავაბარე დღეს პოლიტიკონა. ახ, ნეტავ ჩემსკენ პირი იბრუნოს, მეც გამოვცადო მამინტი რთული... ამხანაგებო, გიჟი ყოფილა ზეკლასიურად შეუვარებული! მარიულლა.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა

ა რ ც ი ს ე ი შ ვ ი ა თ ი

კოწია ჩავლიანიძე ტფილისში ჩამოვიდა.

— რამხელა ყოფილა ეს ქალაქი! კი ამბობდენ დიდიო, მარა ამხელა თუ იყო აღარ მეგონა! — სთქვა კოწიამ.

ახლანდელ დროში საშუალო სწავლის მოწმობა ვის არა აქვს და არც ვასაკვირველია, თუ ერთი გაჭირვებული შვიდწლელი კოწიასაც ქონდა დამთავრებული.

— შეიძლედი კი მოვახრჩვე და აწი ანასუნ ჩემ საქმეს, ერთი თუ მოვახრჩვე და უნივერსიტეტშიაც შევყავი თავი, მერე ჩემს ბედს ძალი არ დაყვეს... რომ დაყვეს, ვერაფერს დამაკლებს; სტუდენტი ვიქნები... ,

ასე მსჯელობდა ახალგაზრდა ჩავლიანიძე.

კოწიას ბედმა გაუღიმა და უნივერსიტეტში მიიღეს

— მამაჩემო! მომაშველე ფული! უნივერსიტეტში ქე ვარ და სტუდენტ კაცს ხომ იცი ფული ესაჭიროება.

მამამ, მოკულაყო გლენმა გაუზზაუნა კოწიას ფული, მაგრამ ჩავლიანიძეს ჩალოფა უყვარს და სოფლიდან მისული ფული რას ეყოფა.

— რამე წყარო უნდა გვეიჩინო თვარა ასე ჩი ივარგებს, სამსახურს მე არ მომცემენ, მარა სტიპენდია თუ მოვახრჩვე, მერე არაფერი მიჭირს...

დღესაც გამოურკვეველია, როგორ მოახერხა კოწიამ სტიპენდიანტთა სიაში ჩარიცხვა, მაგრამ ეს კი ფაქტია, რომ მოახერხა.

— რა ქენი ბიჭო, სტიპენდიანტი ხარ?

— აბა რა ვიქნები ყმაწვილო! შენც ხარ თუ?

— შენგან არ მიკვირს! მე შენზე ლარიბი არ ვარ?

გავიდა ხანი და კოწიამ სტიპენდია აიღო.

— ე ბიჭო, წვედიეთ აგერ გემოში და გემოიანათ

ვისადილოთ! შესთავაზა ვილაცამ კოწიას.

— იმე, ყმაწვილო, შენ რომ არ გეთქვა, მე ვერ მივლებოდი მაგას თუ რავე ფიქრობ?

წავიდენ.

სადლეგრძელბელ ობიექტების სიჭარბე იმ თავითვე ცხადი გახდა და ყმაწვილებიც არ ივიწყებენ სადლეგრძელბებს.

სასადილოდან გამოვიდენ. სტიპენდია მიკიტანს დარჩა სადილის ანგარიშში.

სასადილოდან პირდაპირ სამილიციო უბანში გაემგზავრენ მილიციელის თანხლებით, რომელმაც მათ ხულოიგნობაში დასდო ბრალი... მერე რისთვის? ქუჩაში ტკბილი მრავალჭამიერის მღერისთვის. (მოდი და მილიციელს ასწავლე ესთეტიკა!).

მეორე დღეს სამილიციო უბანში გაიღვიძეს.

სულ რაღაც 24 საათიც არ იყო გასული, რომ კოწია ჩავლიანიძემ თავისი გვარი წაიკითხა გაზეთში.

„ხულოიგნობისთვის დაპატიმრეს სტუდენტი კოწია ჩავლიანიძე, ალიოშა აზიაცკაძე, სპირლონაძე“ და სხვ.

— ვაი, ამის დამწერს მოუკედეს პატრონი, ვინაა ეს შერეკილი, თუ შეგხვდი სადმე, ცეცე პატივს, — ირტყამდა მუშტს გულში ჩავლიანიძე.

კოწია, როგორც ხულიგანი და სახელმწიფო სტიპენდიის მფლანგველი, უნივერსიტეტიდან გარიცხეს.

— რა ქენი ბიჭო, გაათავე უნივერსიტეტი? — კითხა სახლში ჩასულ კოწიას მამამ.

— გავათავე! დიდი საქმე კი გგონია შენ მაგის გათავება! სულ მამაოჩვენოსავით ვიცი მთელი ლექციები... დატრიალდი ახლა მამაჩემო, ერთი საკოვერკოტე მიყიდე და სადმე მასწავლებლის, ან მწერლის ადგილს ვიშოვი და მერე მე ვიცი შენი პატივისცემა...

ეძებს ახლა კოწია მასწავლებლობას...

საოცარო დასიზონო

გარიბერტი—ქუჩის ავაზაკი ლონ-
დონში. ყელში სწრაფად ხელის წა-
ჭერით გულავს მსხვერპლს და შემდეგ
ცარცავს. ეხლა ეს ხელობა ინგლისის
იმპერიალისტებს უმთავრესად ვადა-
ტანილი აქვთ ახელშენებში. (მაშასა-
ღამე, ბურჟუაზიული ინგლისი, რო-
გორც ეხლა, ძველადაც ყოფილა ყო-
ველგვარ ბოროტებსა და სისაძაგლის
სათავე. იხ. **ხულიჯანი**, რომელიც წა-
რმოსდგება ინგლისელ ლორდ ხული-
ჯისაგან). იხ. ქვემოლ „გრიფი“

გასკონდა (ესეც ალბად ინგ-
ლისური სიტყვაა) — მოურიდებელი
მატყუარობა, მკვებარობა. ინგლისის
მთავრობის დახასიათება. კაპიტალის-
ტურ ქვეყნების დელეგატების სიტყ-
ვა მშვიდობიანობასა და განიარაღე-
ბაზე, წარმოთქმული ერთა ლიგის
სესიაზე და კონფერენციებზე.

გასტრალგია—კუჭის ტკივილი,
რომელიც ემართება გამოვლანგველს
დაქერის შემდეგ.

გასტრონომია— გაუპუტავ-შე-
უწყავი გოჭ-ინდაური.

გასტროლი უებარი საშუალე-
ბა ხალხის მოსატყუებლად:

გაუფიქტი.—უსინდისო საქმე. სპე-
ცულია ცია პლიუს მოტყუილება. (გა-
მოგონებულია ბურჟუაზიის მიერ; გა-
ვრცელებულია კაპიტალისტურ ქვეყ-
ნებში).




გლიცერინი—კინო-ტრემლები.

გოლგოთა—ვერის (და საზოგა-
დოდ ყველა) აღმართი.

გორდის ნასკვი—ძალით განლა-
ფორთვებული და დახლოებული საქ-
მე, რომლის გადაჭრა მხოლოდ იარა-
ლით შეიძლება. ამ ნასკვს სკვნავენ
კაბ. ქვეყნების ეხლანდელი მესვეურ-
ნი. ამ საქმეში ყველაზე უფრო გან-
თქმული არიან: ჩემბერლენი, პილსუ-
დსკი, მუსოლინი და სხვ.

გრამატიკა—სავალდებულო სა-
განი, რომლის ცოდნა სავალდებუ-
ლოდ უნდა გახდეს ჩვენი ახალი მწერ
ლებისათვის.



გრიფი—ფრჩხილების მოკა-
ვა ბრჭყალების მსავსად. გამოგონე-
ბულია ინგლისელების მიერ და შემო-
ღებულია სხვა ქვეყნების მიერადაც
თავიანთ ახალშენებში. (იხ. ზემოლ
„გარიტერი“).

დალტონიზმი — პოლიტიკურ
სიბეცე; გარემოში გაურკვევლობა.
ბოლშევის მთავრობის დახასიათე-
ბა; საბჭოთა კავშირთან ურთიერთო-
ბის გაწყვეტა, რის წინააღმდეგაც
პროტესტს აცხადებენ ინგლისის მრე-
წველები, რომლებიც ეხლანდ იყვნენ
საბჭოთა კავშირში.

დაუშის გეგმა—ამერიკელ გენე-
რალ დაუშის მიერ გამოგონებული
ყასაბისებური იარაღი, რომლითაც გე-
რმანიას ტყავს აძრობენ.

დავოზი—უწმაწური უწყისობა,
აურზაური, ანუ ჩვეულებრივი მოვ-
ლენა პოლიციის სეიშიში. (პილსუდ-
სკიმ სეიმს პროსტიტუტების თავშე-
საფარი უწოდა). გავრცელებულია
ყველა ბურჟუაზიულ პარლამენტებ-
ში. (არც ჩვენშია ნაკლები ზოგიერთ
„მწერლებს“ შორის).

დაგანეკაცია—ყოველგვარი გა-
დახრა პარტიაში მარჯვნივ იქნება თუ
„მარცხნივ“. მოვლენა, რომელიც ჩქა-
რი ტემპით ვითარდება სოციალ-დე-
მოკრატებში.

დეკორაზი—გარეგნული თავა-
ზიანობა, ანუ ბურჟუაზიულ ქვეყნე-
ბის ერთმანეთთან დამოკიდებულება;
მაგ. საფრანგეთ-ინგლისის ეხლანდე-
ლი „მეგობრობა“.

დეკაზა—სისწრაფის საზომი, რო-
მელიც უდრის დაახლოებით ჩვენე-
ბურ კუს ნაბიჯს.

დე-იურე—საქ. მენშევიკურ მთა-
ვრობის „იმედი“. რომელიც მუშტე-
ბით გამოუგზავნეს ბურჟ. ქვეყნებში.

დონ-ჟუან—კაცი ქალაქიდან სო-
ფლად სამუშაოდ მივლინებული.

მეპი—ძველებურ მებოსტნის სა-
ხლის მსახური თოფითა და ძაღლით.
დღეს ამ მოვალეობას ასრულებენ სო-
ციალ-დემოკრატები.

მალსინა—შენობა, სადაც აკ-
რძალულია სიმართლის თქმა.

მოდორადო—„ოქროს ქვეყა-
ნა“, მშენიერი კუთხე, ზღაპრული
ქვეყანა. ტფილისში ნიშნავს რესტო-
რანს, სადაც მართლაც „მშენიერი
კუთხეა“ (კაბინეტები) გამოვლანგვე-
ლებისათვის.

მპანსია—დაწესებულებაში თა-
ვისუფალი ადგილი, რომელზედაც გა-
ძვე მიიღებს თავისიანს.

მირში—უვარგისი ლექსი, საგოდ-
რე მასალა. ჩვენი ზოგიერთ „პოეტე-
ბა“ შენობაქმედება.

მიზრინა—მუშკოთაპის სავაჭრო-
ებში ზაფხულობით ბამბაზიის, ხოლო
ზანთობით ტილო-ჩითების გამოსა-
ფენა; ადგილი.

მოდვილი— პიესა თანამედრო-
ვე სიყვარულზე.

ნიკოლიაცია — თუ ამ სიტყვას
წია უზის „სასტიკი“, ნიშნავს ბრალ-
დებულის უფეროდ დაშინებას, რო-
მელიც უშიშროება გამოაშკარავდე-
ბა, როცა მოსამართლე აცხადებს შე-
მდეგ სიტყვებს: „მარამ მიიღო რა
მხედველობაში“.

ნილიზია — საბჭოთა კავშირის
დაწარცხების იმედი, (რომელიც აქვთ
კაპიტალისტურ ქვეყნებს).

ინსინუაცია — ბურჟუაზიული
პრესის საზრდო.

იოტა—მეორე ინტერნაციონალის
სინდის-პატიოსნების რაოდენობა, სი-
დიდე.



ისტამრია—ცოლის მიერ ქმრის მი-
ბეგვა.

ირისი—ოქტომბრის რევოლუცი-
ის შემდეგ, როგორც ემიგრაციის,
ისე საბჭოთა კავშირში დარჩენილ
„დიდებულთა“ და „კეთილშობილ-
თა“ მსხვილი ვაჭრობა-მრეწველობა.

ირონია—ბურჟუაზიის ლაპარაკი
განიარაღებასა და მშვიდობიანობაზე.



დილის საყვირი



— ისპანახს!.. შპინატს!.. რისთვის გძინავთ?!

— ისპანახს!.. შპინატს!.. ქინძი-პრასიო-
ბოლოკი - წიწმბატი... კარგი მწვანი-
ლიე-ე-ე-ე-ე!
მოსძახის მეორე, ჯვავს რომ გვერ-
დითა მოსდევს და მთავარ ნოქოს
როლს ასრულებს.
— ისპანახს!.. შპინატს!.. ქინძი-პრასიო-
ბოლოკი-წიწმბატი... კარგი მწვანილი-
ე-ე-ე-ე-ე!
როხროხებს უკანასკნელი, ქარავანს

რომ უკან მოსდევს და მთავებუხისა
მთავკასისა და ზაეზოზოს ან უბრა-
ლოდ „ხოზის“ როლს რომ ასრუ-
ლებს და ამაყით მოაბიჯებს ქუ-
ჩებში, თითქოს იმავე ქინძისა თუ პრა-
სის კონას უხმოთ და უდავიდარაბოთ
ვერ გაჰყვიდიან აგერა კოოპერატი-
ულ სამწვანილე დუქანში.
და ამ სამების ასე ხმა-მეწყობილ

ტრიოს ზოგჯერ ვირიც ააყოლებს
ხოლმე თავის სირინოზის ხმოვან „სო-
ლოს“.
და ვირიც სავსებით შართალი არის.
თუ კი ეს კიკნა დოცლაპია-საეკულია-
ნტები ასე ფეხქვეშ სთელავენ მოს-
ვენებული ხალხის უფლებებს, ვირ-
რისთვის-ლა უნდა ჩამორჩეს მათ
საქმეში?!.
ონისიმა.

იკავ-არაკი

ტყე გაღაწევა, ნადირებს დღე გაუთრდობდა შვედა. რაკ ხარ-ამერი მიითრებს, ამბოდინათ შხამდა.

მინფრად შეყრილი გლოვებენ: „სამელო გავიგინავეს; გისთან წავედიო არ ვეციო, ყველგან მზედიდეს სიყვე. გინ არის ჩვენი მშველელი, გინ იცის გამოსავალი?“

შელა წამოიდა და ცრებულს მიივლია წყალობის თვალი. აქეთა გონებას მიტეხდენ ჩვენი ძლიერი სამეფოშოი; მელია კიდევ გიშველოთ ამ ჩვენ დამარტყველ დროშიო. მართალია არის; მართალია ზეგირი რამ ჩავეიდენია,— მაგრამ კაცს ჩვენგან ყოველი სტოგოქილად მიუთქვინია. შრომის სუდედა გამოვდა, შეზღობდა დვევის ღირძით, ჩვენც რამ ხელთა ვისწავლიათ და მით ვიშოვით ცერძით. დროებით ვეყრთ კაცუნებს, ნუ გავცემთ ხმას „უბატონოო“, და თუ ტყე წამოგვეზარდება, ამ წამსვე დავებატონოო“.

ტყე დღეცაა კრებულმა. მიტეკეს ხელდღის მელიო, სოდეუს მიადვენ; მოვივლოთ მოხელეებათ ყველაო“.

შელო ხაზაზის... დთეო კი ძინწურებს ბარვის სახილდო; ლომი გავრობას ეწევა შელა ეცილობს ყსილათ. ხმზიად დისციანის კამჩას, შრომიდან წულში გამწვადარსა. „ჩო არის შენი სიცოცხლე, ეთი აწევე ნამაგებარსო?..“ კამერი კადრებს: „ამბობლიო, ეს არის შრომის ნებაო. წჭპია ტრაქტორია გამომცელის, მეც მხედება დაძვეებაო. თქვენ კი წარსულზე ოცნებობთ მრავალჯერ დაგვიმეობთ; სიტყვით ება ხარო, გელოთ კი ისევ მიიწეეთ ტყეშია...“ დასადეგურებს ცხოვერების უბუნო კაცის ნატყობი. თენ მარჯვენს გელოთ, არის მისცედი. ღუჭია მისა ნაწაშობი.

გნელებითს მოციქულებს, სინათლის ზუიჩიათ

„ოღონეოთის სიტყვამ განიარაღების სესიონე ეძენეაში დიდი მითქმა-მითქმე გამოიწვია უტყუოთის პრესკამ“.

ეპიჩი ვანო

ზარბაზთითი
ჩარბას პარქენა გავრცეებენ
ამ ფელსებო ვერც
მეტი დედი ცოლენი
და მინ სრის წიფიანოს.
რადეც სამხელ ცრისხე
ტყე ავღდმოტეო ცოლი,
და ურლი გასინივლი,
სამართლო სტლიმზარბოლი.

იგანე არის სოფლოდ
მოსული თავის სახლში,
როგორც ველოო კაცი
მის გავგონებლო ხაბოში,
ვიდინე მულო გავარდა
დდი მეცხმის შეილო,—
მაგრამ კულტურის კაცი,
რეა შაქარი, ტაბილი,
და ამ დიდებულ კაცუნ
გინ იფიქრება ამის.
თუნდაც თორს თუნდაც
ცნებებულა მასსა,
რეა რომ მივდა პარქენ,
თან მოყვანა ცტინი,
წამოიჩოქე მის წინ
და შევიღრა ცრეწოლი:

— ექიმო, წამევე შინა,
მეცად ავღდმოტეო მძიმე
სმეად რომ ვერიაო მარეო,
შენე ვამყარებო იფეს,
წევე ექიმი სახლში,
და ავღდმოტეო მანა;
ბერე რამ ბრეფე მსცევა
და მეგრიც დეცქარა,
რადეც სხადისევა წამოსი
იგი თო რეცეპტს უწეკს,
და თან გამოწვილო ფულსა
ცალი თვალითა უწერს.
თუ წამდრია ფეჭობს
შემოწვილო ფულსა
და რომ ათ მანქესი თილისი,
გაბარებულა ათიმეს
და ერთ რეცეპტსა უფლებს
მეწუნებულა გული.
როს მოსაძულეო ხუთმეტს.
შეირის მოცეპე მანა.
შემახებულა ცტენე
და ვეღურებულა მართასს,
სამართლო ღორევა იწევის
მსოფერ ბარძიყენე ფარხაზს.

გვეშე ღორევათ უფელს,
ამეს სობადოფელს გონებოა.
[ღმრთის წყალობა კი,
ივამეფოფენი ბოლომდო,
პამეინი დიდი ცლითა,
მწეის დანაკლის ფელსა,
სი დიდებულბის რეცეპტს,
სი დიდებულბის გულსა.

თუ ასე გვიჩანე გინი!
კლავ ღმირი მზახალი სოფლოდ.
სი ვავრეგეინია ვეყთი
ჩვენ უფეწეწობით ობლოდ.



დაკამითს უანჯკამი, თორამ მანათლე თვალებს გვპრისი

მთვრალი მგვალევი

ერის გულსა შვედა უფალი ცირი.
ამშიო თუი ოხახო გორი.
დუშო, რიფდესი დიდებულს გრჯობა,
თის ბიფი ოცნებდა, ოხახ ვრის აქ რადე,
თუ ითი ხელთა გულგონის შვედა.
ოღონე მუღესი ღუჭესა ობო აწმდედა
და ურლი დღეს იყო აი, რა მობდა?—
ნაქონიო კაცე ვანა შხამხდა.
სამრეინიში შემახებულა—
დახმა არაფეა მთელად გაგიცა,
ჩო გამოვდა გაგაფელო, —
ახლა აქ შეხდა სიმე ვანობა!

საკე მობა მან ცირი აწმდე
იმ თოკით დახდა მამხელა წულა.
რისიფეს გახლდა ოღონე მუღესი
ახი არა მამეს მავრა მავრა,
რადე მხედა ძალა გეწერი იფეს,
რა ცნებარბობა მავრომ ამ წყენისი
ეს სოქა და სახე ღობ დავროს.
ძალდეს ვავარდა, მისი იფეს.
გამწვადი ძალე ვრეს ვეწე—
შადრის ნავერი ძალეს პარნი
ჩო მანა — სჩხამა წეი ბქირალი, —
მანთ იყარა, მორე ბრალი.


„ამშველოთ მალე, ვრის დამგვალა“
ძალდამა იფილიო თოკი გავლოდა
ძალე ვავცე თანა უწვილო
გვერისა სინაწილად გამოწვილო
ფეჭობა ხალები, დაბარს პირი
უფათო შეხედა წინ ღუჭე ვირი
სინარბოლესან შუბო, აწვერას
დახე ამ იფეს შევე ვავროდა
მას აწვიო ჩვენ ხაბოს ვაფესი,
ფერი შეადგვიფეს ღმრთის ფეჭას.
ვწმეოთა ვინე შეხედა,
„აფერ შედა“— ცირი გამამხლდებო“.

ანტონ ბანჯისიკარული.


უნაბე.

ჩატუნდარიძე.

ალგულაი (ტვ. მკ.)



პირი სოფლისაკენ



სოფელი პირისაკენ

ტარტაროზო, ამბავს მთავარი
 ურვეულოს, გასაკვირება,
 რაც ამ თემში საქმე ხდება,
 ველარ მიღებს დანა პირსა...
 ერთხელ მხოლოდ, ისიც ცხადია,
 პედაგოგთა ვნახე კრება,
 გეფიცები მისი ნახვა
 ეხლაც ისე მენატრება.
 თავში იჯდა ჩვენი გრიშა,
 მომხიბლავი, ეშხიანი;
 გვერდით უჯდა სათინიკა
 თქროსა კბილებიანი.
 მარჯვნივ უჯდა ცაგურია,
 ლაქტუტობით ის განთქმული;
 მდივნათ იყო ოგანოვი,
 მთელი კრების გული, სული;
 „გოსტრახიდან“ აკეთებდენ
 კომპლექსებზე მოხსენებას,
 მილიცია მოითხოვდა
 „დელტონპლანის“ შემოღებას.
 მე არ ვიცი, ცხადი იყო
 თუ სიზმარში მომეზმანა;
 ეს კი ვიცი: ალბულაღში
 „პროტექციის“ დაღვა ხანა...
 შავარდენი.

„ტარტაროზის“
 უმეღები
 ნომერი
 ბამოვა
 პირველი
 მაისისათვის

ე რ თ ი ს ა ქ მ ე

იმ საქმეში, რომელიც მე მაქვს სახეში, დანაშაულებია
 ორი, ერთია დირექტორი, მეორე სატყეოს გამგე, უმეღ-
 მო „მოამაგე“.

საქმე შემდეგშია: წნორის წყალის ტყეში, უფრო-
 სობს ხუციშვილი (არ არის კარგი შვილი). წნორის წყა-
 ლის ქარხანას ის აწვდიდა მასალას, რომელსაც იღებდა
 დირექტორი ტერ-ოგანეზოვი, ქარხანის ქონის მწოვი.

ამ ორმა „მოღვაწემ“, უფროსმა და გამგემ, იმდენი
 ითაღლითეს, რომ ქარხანა გალიტეს და ბოლოს ზედ
 კიდევ, ჩამოჰკიდეს კლიტე.

ქარხანას ქონდა საბრუნავი თანხა, მაგრამ იმდენი
 გამგის თავის ვახში, რამდენი მას ფული გაეფლანგოს (აწ
 პასუხი ნეტა ვინდა უნდა აგოს?).

ქარხანა წნორის წყალის იყო მხერხი მასალის, მა-
 რამ უთაობით მრავალი იზარალ, რაც ყველამ დირექ-
 ტორის უკლებლივ დაბრალო.

ყოველგვარ შეკვეთების გარეშე ამზადებდენ მასალას
 და ყრიდენ სანავეში. ასე რომ არ იყოს, მაშ რით აიხსნე-
 ბა, რომ 150.000 მანეთის ქონება გადაყარეს წყალში და
 მუშებიც დატოვეს კარში?

პარკეტი, როგორც სალი, 75 ათასი ცალი, დახერხეს
 უხეიროთ, ვერც თითონ იხეირეს და ვერც დამკვეთავმა,
 რადგანაც რკინის გზის გამგეობის თავმა, დაიწუნა მასალა
 და სხვაგან გადაიცივალა. ასე მოხდ სხვაშიც: მაგალითად
 ძელაგ - შპალის დარგშია, ქარხანამ სულ ვერ შეიძლე

უნარის გამოჩენა და აღარც გამოჩენა დაურჩა წარმოე-
 ბას, რომელსაც ჩქარა დეფიციტი გამოება.

მოკლეთ რომ მოგახსენოთ და ყველაფერიც გავიხსე-
 ნოთ, წარმოებამ დაკარგა ვით ამნათი, ამ ორმოცდა ათას
 ათასი მანეთი. როგორც ყველგან ამბობენ დაუინებოთ,
 სრულიად თამამად და არა დაშინებით, აქ უმთავრესი
 ბრალი მიუძღვის დირექტორს და სატყეოს გამგეს, ისინი
 განაგებდენ მთელ საქმეს.

ყველა მოელის ალბათ, რომ მათი ცრემლებით დალ-
 ბა გამსახლის ბჭე და კარი, მაგრამ ისაა მაგარი, რომ ეს
 ორი—სატყეოს გამგეც და დირექტორიც, ასევემად არ არის
 უმუშევრად და არც თუ ბირჟის წევრად.


ორივე „მოამაგეს“ უშოვიათ ადგილი წინაზე უფრო
 თბილი და არზეინად ცხოვრობენ კაბინეტში,—არ მოტ-
 ყუებულან ბედში...

რაც შეეხება ქარხანას, იგი ჯერ და აშხანად მაგრათ
 არს დაკეტული, რაც არ არის კეთილი.

მუშები აშობენ რომ, ახლა კია დრო ამ საქმის გა-
 მორკვევისა და დანაშაუვითათვის შესაფერ ადგილის მიჩ-
 ნევისა. ხუციშვილ - ოგანეზოვს უნდა მოვთხოვოთ პასუ-
 ხი და საცა საქიროა მოუჭიროთ მარწუხი.

თუ ასეთებმა ჭკუა არ ისწავლეს და მომავალშიც ასე
 გავწავლეს, ვერ მივალწვეთ წარმოების სიჯანსაღეს, რად-
 განაც მთელსა ნაღებს მიერთმევენ ზოგეირთი „სპეცები“
 რომლებიც ყველაფერს ჯიბისაკენ აცილებენ.

ტერსიტა



ბიჭათ ბიჭი კარგი ბიჭი იყო ჩვენი სიკო. ტანწერწეტი, ძალზე ჭკვიანი და ცოტათი უტვინო.

მამა ჰყავდა ძველი მღვდელი, მღვალანების გულის მკვლელი.

ოცდაერთი წლის იქნებოდა სიკო, როცა გადაეყარა ერთ გამოუცდელს გოგოს აუხსნა სიყვარულის ყველა სტატიები და... დაქორწილდა ყველა კახონების ძალით.

მამამისის ღმერთის წყალობით, სიკოს შეეძინა ბარე ოთხიოდე შვილი.

საშუალო სკოლა სიკოს დიდი ხნის დამთავრებული ჰქონდა და... შიგ შუა უნივერსიტეტში სტუდუა თავი.

იშოვა ქალაქში ერთი ოთახი და წამოასხა ბატებივით თავისი ცოლ-შვილი; ხელშეკრულება დასდვა ცოლის მამასთან — თავის დროზე ფულის და სურსათის გამოგზავნის შესახებ. ბოლოს, როგორც იქნა, სამსახურიც გამოიკვარაჩქინა და იცხოვრა ასე მთელი ცხრა წელიწადი. უნივერსიტეტის დამთავრებას მანაც არ დააღდა საშველი, რადგან მეცნიერება სიკოს ტვინში რატომღაც ვერ შედიოდა.

დალონდა ჩვენი სიკო, ბიჭათ კარგი იყო და ჩამოუშვა ძირს ცხვირი. მოხეზრდა ცოლიც და შვილიც და ახალ-ახალი „განცდები“ (მისი სიტყვაა), მოუხდა. სიკო ოდესღაც მატერიალისტიც გახლდათ და დიალექტიკის კანონები სულ შეპირად იცოდა. აი ამ ცოდნამ მიიყვანა სიკო იმ აზრამდის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცოლი სოფელში გაგზავნა ბავშვებიანად (ვითომცდა საავარაკოდ, თუმცა და ზამთარი იყო), თვითონ კი გაუცვალა გილატას ოთახი, ჩაიხსრიალა ჯიბეში „ატსტუპნოი“ და იცხოვრა ახალ ოთახში არხინად.

ცოლმა, რა თქმა უნდა, არაფერი არ იცოდა სიკოს ასეთი რაინდობის შესახებ და, როცა სამი თვის განმავლობაში ერთი წერილიც არ ეღიბრა

მისგან, დაავლო ხელი ერთ-ერთ ბავშს და ჩამოიხინდა ქალაქში. მიადგა თავის ოთახს, სდაც ეგულებოდა თავისი „მეირფასი“ სიკო, და დააკაკუნა. თავი გამოჰყო ვილაც უშველვე ბელმ კაცმა, რომელმაც ისე გადააბრიალა თვალები, რომ ქალს გულზე შემოეყარა.

როგორც იქნა მოიღვა სული და შეეკითხა ქმარზე, მაგრამ საშინელი პასუხი მიიღო. „გიჟი ხო არა ხარ! ეს ოთახი ჩემია. მე რა ვიცი შენი ქმარი! ქალი ახტა-დახტა, მაგრამ ვერაფერს გახდა. კაცმა პანლურის კვართი გააგდო ოთახიდან, სიცოდავი ქალი მიასტა სახლის პატრონს, მაგრამ სახლის პატრონმა ერთი ისეთი წაუქაჩანა, რომ ქალმა გიჟივით მოკურცხლა. შემდეგ მიიღვა სამისამართო მაგიდას და იქ გაიგო ქმრის ახალი მისამართი.

მაშინვე ეახლა ქმარს, მაგრამ ვაი ასეთს ხლებას. მიაკაკუნა თუ არა კარები, მოესმა სრულად უცხო ხმა:

— კტო ტამ? ვოიდიტე!
შევიდა ქალი ოთახში და რას ნელავს? ვილაც უცხო კაცი წამოწოლილა ტახტზე და ეს უცხო კაცი გარეგნობით ძალიან წააგავს თავის ქმარს, მაგრამ რატომღაც მანაც უცხოა ეს კაცი. გაშეშებული ქალი დადგა და დალო პირი.

— ვამ კავო, მადამ? — შეეკითხა ქალს მასპინძელი, „უცხო კაცი“.

— უკაცრავად, თქვენ ხომ არ ბრძანდებით ჩემი ქმარი? რატომღაც ძალიან გაგხართ მას!


— იზვინიტე ბაყალუსტა! ია სავერ-შენო აბსალუტნო ნე ზნაიუ ვას, პრამუ უიტე!

— ბაბა, ბაბა! ჩემო სიკო ბაბა! — იყვირა ბავშმა და ჩამოეპროწილა „უცხო კაცს“ კისერზე. გაჯავრდა მარა, რა გაჯავრდა ჩვენი სიკო, ბაბა! ტყუილად, რომ სამი თვეა, რაც მე თქვენ დავმორღით ოფიციალურად. — ამოიღო ჯიბიდან განქორწინების ქალაქი და ხელში მიიჩეჩა. იმ ღამეს ცოლმა იხეტილა ქუჩებში და მეორე დღეს მილიციაში განაცხადა ქმრის საქცელო. კომისარმა უბრძანა სიკოს ცოლის შემოშვება და ჩვენმა სიკომაც იკაღრა შემოშვება. მაშინვე სტაცა ხელი თავის ნივთებს, გადაატყავა პირი ლეიბს, საბანს, შეკრა თავისი ბარგი-ბარჩანა, ბოლოს დაავლო ხელი გვერდებ-ჩამტვრეულ სპილენძის ქვაბს და ორიადით გასწია კარებისაკენ. ბავშმა აქც ვერ შეიკავა თავი და მიამახა მამას.

— სიკო ბაბა, სად მივაქს ჩემი ქვაბი? მემე ჩემი რძის ქვაბი! აბა ლაზე მომიდულოს დედამ რძე?

— ხელის გულზე მოგიდულოს თუ უნდა! — მიახალა მან ბავშს და გასწია.

— სადმე ლურსმანი იშოვე და ამომიტანე, რომ ეს დავსჭედო და დავამაგრო!
— დაიცა... ამ წუთში.. ავერ ფურნეში ბურს ვიყიდი და ამოგიტანი



ინგლისელი: — ეს ავტანისტანი რომ ჩვენი იყოს—საბჭოთა კავშირის მოხაზვლვრე ვიქნებით.



გლმსი:—თუ აგრნომი მოვიდეს, გამალივძე.



აბროსომი:—გლესხა რომ მომაციოხოს, გამალივძე.

წერილი ზესტაფონიდან

ნეტაი შენ, ძმაო პლატონ, რომ აქ არ იმყოფები და მღწორი ამ ოხერ ხალხს.

მეც კი მინდა მოვზორდე, მაგრამ სად წახვალ? ისეა ეს ზესტაფონი ვარშემორტყმული ტალახით, რომ გავლა შეუძლებელია. თუ აჯამურისკენ წადი, ხომ პირდაპირ დაიშალე ტალახში. სოფლებები ამზობენ: „ეს გზა ქალაქის ფარგალშია და იმათ უნდა გააკეთონ“. ქალაქი სოფლებს უყურებს. ბაზარში თუ გადი (ხომ იცი ზესტაფონის „საჭმიანი“ საზოგადოების ამბავი), დღე ისე არ გავა, საში მაინც არ გალახონ და, ვინ იცის, შენც რომ აქ ყოფილიყავი, აქნამდი იქნებ კიდევ მოგიწევდა „ოჩერედი“. მილიცია ნარდის ვაკუნსა და ძაღლების დეგნას უნდება. ამოიჩემებენ ერთ ძაღლს და ხან ბონტიდან ესვრიან წყალში და ხან „გეკოს“ ესვრიან.

ხო, მართლა, გაიგე, ბიჭო, ჩვენმა ცეცხლის მჭრობელი რაზმის უფროსმა რომ კარგა ბლომად „გაიმასქნა“... მეც მიკვირს, კაცო. ცხენის საჭმელი არაფერი ქონდათ, სულ მინდორში ჰყავდათ საბალახოთ და სად იპოვეს გასაფლანგი რამე! მაგრამ, ალბად როცა კაცს „უნარი“ აქვს, სად რას არ გამოისძებნის.

ხომ იცი, ასაკვს ალბად გემო იმ ფულთი ქეიფობისა ამ ორი წლის წინად კოოპერატივში რომ „შემოეხარჯა“. მაგრამ, ჩემო პლატონ, ეს მისი „მუშაობა“ უკვე დაუფასებელია და იგი უკვე აუწვევიათ ზევით, (გამსახლი ხომ 100 საყენით მალეუა მაინც ქნება ცეცხლისმჭრობელი რაზმის შენობაზე).

ჰჰო, მართლა, თუ მანდ მიმდინარეობდა ქაღალაკის ჩემბიონატი, აქაც კი ჩატარდა. მაგრამ ვინ გაყურებია. თუმცა მე ძალიან ვარ დაინტერესებული (და ბევრი სხვაც), ამ საქმით, შევედით შიგ და მეცა ვასია. ის იყო კინალამ შემომახია ჩემი ნატანჯი პალტო (ორ ზამთარს გადავარჩინე და იმის მსხვერპლად კინალამ ვახდა).

სხვა ხომ იცი აქ ორგვარი განათება გვაქვს: ელექტრონის და კართოფილის სანთლის. თუმცა ეს უკანასკნელი უფრო იხმარება და მეტ საჭიროებასაც წარმოადგენს თვითეული მოქალაქესათვის, ვინაიდან ელექტრონის განათება ნახევარჯერ არ არის და ამისთანა დროს კართოფილის სანთლი ხომ მისწრებაა. მიკვირს, კაცო, თვითონ კი თვრებიან, მაგრამ ამ მოტორშიდაც ღვინოს ხომ არ ასხამენ და არ ათრობენ?!

როგორც იქნა, ველირსეთ, ძმაო, კინოს, მაგრამ რეკლამები შემოიღეს ისეთი, რომ არ წახვალ—ვერ მოისვენებ; წახვალ და, იმსაც იღარდებ. ერთ რეკლამაში რომ წავიკითხე შენიშვნა: „გოზოვთ სუსტნი და ნერვებ აშლილნი ნუ დაესწრებიან, ვინაიდან მოსალოდნელია გულის შეწუხება და ისტერიკა“.

ამის გამო ჩემმა ცოლმა ერთ ხუთ ექიმს მაინც გააშინჯვია თავი: გავუძლებ თუ არა იმ სურათის ყურებასო. ასეთია, ძმაო პლატონ, ჩვენი ზესტაფონი.

ძგუნტი.

ვიიღუბა ხელისგოჭირა ვაისისათვის

მუშა 50 კ. ბანბანები - 70 კ.

ტარტაროზი ხელობითა ვიქმნ აიუმორს არა-მდარსა.
 მე მმორჩილობს ტარკორთა სპა, ვსპობთ სიავეს ყოველგვარსა.
 გულსა ღრუბელს მოვაშორებ კარგად შევქმნი ავსა დარსა.
 კუბოშიაც გავაციებ მიცვალეზულს — ერთ თვის მკვდარსა.



მღვდელ-ღიაკვანს შევაჯღები ვითა ცხენსა თოხარიკსა,
 გავაჭენებ შარა გრძელზე, და გავაძრობ კულის რიკსა.
 გვერდში ცემით, მარჯველ ქნევით გამოვებრაგ ვითა ტიკსა,
 ზურგზე ყველას მოვაჯღები, ვის შევატყობ რამე ხრიკსა.

თავმჯღდომარე აღმასკომის, მოყვარული ხარჩო-ლომის,
 ვერ აცდება ჩემს ჩანგალსა ონისიყოს, თუნდაც გომის.
 გული მიძევს ნამდვილ ლომის; მკლავი კი მაქვს რკინის ლომის,
 შიში არ მაქვს მტერთან ომის, ხომ არა ვარ კაცი ცომის.



ეს ციკლონი გადიარა (მოგვაცუნა გულს იარა);
 მართლ ჩვენთან არ ყოფილა; სად იყო და საუ იარა!
 ყველა მხარე მოიარა... არ დაბრუნდეს, ოი, არა!
 დაგვიწამთრდა... მაგ კი არა, აჭკნო ვარდი და ია არა?!

ჩავაშავეთ როგორც იქნა... გადიკარგა ჯანაბაში;
 დეკემბრამდე (ექვსი თვეა) ზამთრისაგან გვაქვს შაბაში.
 ვინახულებთ ჩვენ მგობრებს, წავალთ სოფლად, ტყე, დაბაში.
 ვნახავთ ცოლსა და პატარებს მოკაწმულეებს ჭრელ კაბაში...

ძღვენი უნდა მივუტანოთ და მივუძღვნათ საჩუქარი...
 „ტარტაროზი“ თუ არა გვაქვს,—დახშულია ჩვენთვის კარი;
 „ტარტაროზი“ თუ არა გვაქვს,—ნუ მივიდივართ, ნუ ვიჩქარით
 „ტარტაროზი“ თუ არა გვაქვს,—სხვას წავვართმევს გვაში ქარი.



თუ „ტარტაროზი“ თან ვახლავს მწუხარედ არ იხსენები.
 გულიდან გადირეკება ყოველი ჭირი, სენები,
 სადაც არ უნდა მიხვიდე იქნები დამამშვენები.
 დაგიმადლებენ წაკითხვას ვით უცხო, ისე შენები.

გათავდა ჩვენი სიტყვია სათქმელი ერთი წამისა.
 არ უნდა ფიქრი ამდენი მთელი დღისა და ღამსა.
 გამოიწერეთ ყურნალი ჩვენ მთხოვნელი ვართ ამისა.
 გახსოვდეთ: „ტარტაროზია“ მომრჩენი ჭირ-ვარამისა.

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა;
 სიარული მეტის-მეტად მეძნელა.
 „რატომ მიჭირს ასვლა?“ ჩემთვის ვიკითხე,—
 „ტარტაროზი“ როს გავშალე, ვიკითხე—
 ძალა ვიგრძენ... სიარული მენელა.

რად ბინდა ამაღენი
 აური, ზაური?
 ჩამოდი საჩქაროდ
 თოთხვები ზაური!



— აი, ანგარიში! მოიტათ ფული!
— რის ფული! რის ანგარიში?! სასადილო უმუშევრების არის... მეც უმუშევარი ვარ!

ცნობათა მიღება

პ. ბაღელს. თქვენი „კაცი ბედნიერი“ ასე იწყება: დავდიოდი მარტო და ფიქრები მდევდა. იზრდებოდა გულში ეს ოხერი სევდა... სწორე ამისი ბს. ლია, რომ ლექსი სატარტაროზოდ არ გამოდგა.

გარდა ამისა, ფაქტების წინააღმდეგობას აქვს ადგილი თქვენს ლექსში. ერთ ადგილას ასე სწერთ: ამცენ სივალაღით გამოითერთდა წვერი. მეორე ადგილას კი: ჯერ არ ამომსვლია უღვაშის ღერი. მართალია, წვერი და უღვაში სხვადასხვაა, მაგრამ ერთმანეთის ისეთი ხათრი აქვთ, რომ ერთი—მეორეს არ დაასწორებს ამოსვლას.

ამის ქვემოთ: პოეტობას მაინც შევსძლებ, თუ სხვა რამეს ვერა. ეს საქმე რომ ადვილია, ს სუყველას ნჯერა. ხომ გაგიგონიათ მოცლილი კაცისა და მახათის ბმ-ბავი? სწორედ ისეა თქვენი საქმე. თქვენს შემთხვევაში ასეთი ლექსის წერას, მახათით თავის შექცევა სჯობია.

ჩინტი-კოპის (გურჯაანი) ამ ბოლო დროს პოეტებში განიცდიან რითმების კრიზისს. აი, ამ კრიზისის შესანელებლად ებეჭდავთ რამდენიმე სტრიქონს თქვენი ლექსიდან:

ტარტაროზო ძამია, ჩორტი ნაკაზანია.
ჩამოდი ინახულე სადგური გურჯაანია.
რომ მოხვიდე, ინახულე სულ პირველად კოწია,
სადგურის უფროსია, ზეღმეტად აიწია.
ესხლა კანტორიჩიკს ვესტუმროთ, ვინახულთთ აკაკია.
ხალახთი კაცი არის, გავვიჩინა შაკაკია.

ოჩანს. თქვენ განიტერესებთ გაიგოთ: მიცვალებულის გვამს სიცილითა და ხუმრობით მივასვენებთ, თუ ტირილით და სერიოზულად?

თქვენ როგორ გგონიათ, სიცილი და ხუმრობა სერიოზულობა არ არის თუ? თქვენ ესხლა არ იქნებით სიცილის ხასიათზე, მაგრამ ეს ჩვენი რა ბრალია; თქვენივე საკუთარ თავს დააბრალებთ, რომ მას არ შეუძლია უკეთესი წერილის დაწერა.

ცალაქურდელას: — ვერ მოგვატყვილებთ და შეცდომაში ვერ შეგვიყვანთ ქათინატურებით: „მე რომ თქვენი სიყვარული მაქვს, იმის მეთათხედო რომ გქონდეს თქვენ ჩემი,—პატივს მცემდით და ამ წერილს დამიბეჭდავდით“.

სიყვარულს კარგად დაწერილი მასალა გვირჩევენია.

ხითხითს. ეს ცოლი კი არა, თქვენი გოდება არის: გადავსწყვიტე, რომ გავგზავნო ჩემი ცოლი ბანმაროზე... ჩვენც გადავსწყვიტეთ—თქვენი წერილი გავგზავნოთ... უღსკერო გოდოროში.

ლაქარტს (ოჩენჩიურე):—არც ისე დიდი საქმეა, რომ ღირდეს ტარტაროზის შეწუხება: კომკავშირის ჩვენს უფრედში მაროს ხერხმა შპოვა კვალი. მეგობრობა გააფუჭა, წაუკიდა ყველას ალი.


ამისათვის არც სახანძრო რაზმია საქირო. ისევე უჯარედმა უნდა მოაგვაროს მაგ საქმე.

„ბრონს“ (გურჯაანი): — პირადი ხასიათისაა; არ დაიწყებდებ.

წიფნარელს (ბანძა):—ამ წერილის ბევრი ადგილზე არ ჩამორჩება თქვენს სასადილოს, სადაც: ხორცი, ბეწვი, ნაფოტი ერთმანეთში აირია და მულეღში ჩხუბი შექმნა, გაგვარია რია-რია,

ჩვენაური პენსია

ზოგიერთ სოფლებში წვიმის დროს გზები იმდენად ფუჭდება, რომ შეუძლებელი ხდება მიმოსვლა.



— ვაცო, პეტრე იხრჩობა, მივეშველოთ!
— დარდიც ნუ გაქვს... საუცხოვო ცურვა იცის!

ციალას. ეს გადმოთარგმნილი კი არა, გადმომახინ^ა ჯგბულია რუსულიდან.

მუსუსს. ასეთი ლექსით ახლობელი კი არა, ვერც შორეული თანამშრომელი გახდებით.

ისემს (შილდა, კახეთი). აფთიაქის გამგეზე იწერებოთ:

როცა გლეხი მივა მასთან
ავადმყოფის წამლისთვისა,—
იგი ფირცხლავ გაცეცხლდება,
როგორც ძალდი ისე ღრინავს,
და გლეხები ემატება
სდგება რიგი აფთიაქთან
გამგე ამ დროს გაიძახის:
„რა გამოვა ათიანთან!“

რასაკვირველია, კაცს ერთდროულად ორი საქმის გაკეთება—წამლის დამზადება და კარტის თამაში— არ შეუძლია. ამიტომ საჭიროა აფთიაქისაგან მისი და მისგან აფთიაქის განთავსუფლება.

მანვილს (სამტრედიო). ვიცავთ თქვენს მართლწერას და ვათავსებთ თქვენს ლექსს:

ალექსანდრე კობაღეშვილს ქვეყანა მისი ჰგონია
და ისე აბურთალებს, როგორც უღირსი ბონია.
გაუშვია ქოჩორი,
როგორც ვირის ჩოჩორი,
მისთვის ქვეყანა ბურთია
და არსებობა მუქთია.

თქვენ, ალბად, მიზნად გქონდათ დაგიკინათ ალექსანდრესათვის, მაგრამ არა ნაკლებ დაგიკინებს თქვენაც კობაღეშვილი ასეთი ლექსის დაწერისათვის.

გილონის (ჯურჯუფეთი, გურია). სამიკიტნო აქ მაინცა და მაინც არაფერ შეუაშია.

ჩვენ რომ წამოვალთ,
რალაც წავგვიყვანს იქითა,
და გოგაისთან შესულნი
გავიბერებით ღვინითა.
მერე რომ არვის ვარგივართ,
სინათლე არ გვაქვს თვალგება,
ისეც მივდივართ სახლსკენ
თუ გადაფურჩით ქალებსა.

ასე, რომ ამ შემთხვევაში ტარტაროზის ღრისხვა თქვენ უფრო გეკუთვნის ვიდრე სასადილოს.

სმისანს (სოფ. ვანახლება, ქუთაისის მაზ.): კარგი ამბავი მომხდარა თქვენს სოფელში, მაგრამ ამ კარგ ამბავზე ცუდი ლექსი დაგიწერიათ და მისი დაბეჭდვა უხერხულია—თქვენი სოფლის მიღწევებს იერს დაუკარგავდა ასეთი ლექსი

კულ-ბურს:—გვწერთ, რომ „ბევრი მასალები გვაქვს გამოგზავნილი. ზოგი მათგანი ცნობათა მიღება“—„ში იყო, უმეტესობა კი უფსკერო გოდორში წავიდა... გამოგვგზავნეთ კუთვნილი ჰონონარი“—ა.

ჩვენ ჰონონარს ვაძლევთ მუდმივ თანამშრომლებს, რომლებიც მასალები იბეჭდება. თქვენ ცდებით იმაში, რომ, გვინათ, თქვენაც მუდმივი თანამშრომლები ხართ, რადგან მუდმივად აგზავნით მასალებს. თქვენ ხართ არა „ტარტაროზის“ მუდმივი თანამშრომლები. არამედ მისი („ტარტაროზის“) უფსკერო გოდორის მუდმივი თანამშრომლები. ასე რომ ჰონონარისათვის მას უნდა მიმართოთ.

წამაქურმს:—რკ. გზ. აფთიაქის გამგეზე გვწერთ:

ვაცს თავი მოაქვს იმგვართ
თითქოს ის პროფესორია,
ისე (ჩვენს შორის დარჩეს და)
საშუალო პროფიზორია,
ხან მელასავით ლაქუცობს,
ხან კი მგელსავით ავია.
ნეტავი მას ვინ მფარველობს,
ეს არის საკითხავია?!

და ბოლოს უმატებთ:—თანამშრომლებს ხშირად შეუძლებღვინ:

მე ვარ დვალი,
აფთიაქის თვალი
და ვაი თქვენი ბრალი
თუ მე გავხდი თქვენზე მწყარალი.

ალბად ეს სიტყვები მისი მეგობარე—ევეგნი დვალისაგან გადმოისესხა.

გამოცხადება.
„ტარტაროზი“—ს № 198-ში მოთავსებული წერილი „მოლი“-ს ხელმოწერით მოკ. ნიკოლოზ კიტოვანის შესახებ, როგორც ცხუნკურის თემამომასკომის პრეზიდიუმის და კომპუტერული გვატყობინებს, არ შეეფერება სინამდვილეს.



სოციალისტურ ზემოქმედების წინააღმდეგ

ა ნ უ

ურჯიანო მსუხველი-საკუთარი სიცოცხლის მსუსხველი



ლაშვილი

— „ხუთი წლის შემდეგ, როცა ჩვენი გეგმით გათვალისწინებული სოციალისტური მშენებლობა წინ წაიწევა, უველაფერი გვექნება“—ო, ხომ გაიგონე?
 — შენი რა მოგახსენო, გენებოს უცადე იმ დროს. მე კი „ხვალინდელ ქათამს, დღევანდელი კვერცხი მი-
 რჩენია“. ერთს აგერ ლაშათიანად გადავკრავ; თუ შნო გაქვს, შენაც მომეცი!